თეას გოგო

რის თამაში გიყვარს კომპიუტერში? რატომ?

თეა ოთახშია. ის კომპიუტერთან ზის.

კომპიუტერში ლამაზი გოგოა. გოგოს აქვს შავი თმა და შავი თვალები. თეამ გოგოს უნდა ჩააცვას.

ჯერ ჩააცვა ჯინსის შარვალი. მერე ჩააცვა მწვანე მაისური. ბოლოს ჩააცვა შავი კედები. თეას მოსწონს გოგო.

კომპიუტერში ჩანს ჩანთები და საყურეები.

თეა ფიქრობს: „რა ფერის ჩანთა ავიღო?“.

თეამ ლურჯი ჩანთა აიღო.

თეა ფიქრობს: „რა ფერის საყურე ავიღო?“.

თეამ მწვანე საყურე აიღო.

გოგო ძალიან ლამაზია. თეას ის ძალიან მოსწონს.

შენ რომელი ფერის მაისურსა და ჩანთას აიღებდი? რატომ?

დონე: B დაწყებითი

ტექსტის გაგება

1 რას აკეთებს თეა?

ა) ბურთით თამაშობს.

ბ) კომპიუტერთან ზის.

გ) სახლს ხატავს.

2 როგორი თვალები აქვს თეას გოგოს?

ა) ლურჯი. ბ) მწვანე. გ) შავი.

3 ჯერ რა ჩააცვა თეამ გოგოს?

ა) მწვანე მაისური.

ბ) შავი კედები.

გ) ჯინსის შარვალი.

4 თეამ ბოლოს შეარჩია:

ა) მწვანე საყურე. ბ) შავი კედები. გ) ლურჯი ჩანთა.

5 კედები არის:

ა) გოგოს თმის ფერი.

ბ) გოგოს მაისურის ფერი.

გ) გოგოს ჩანთის ფერი.

6 რა აქვს გოგოს ერთნაირი ფერის?

ა) მაისური და კედები.

ბ) მაისური და საყურე.

გ) მაისური და ჩანთა.

▶▶▶ ლექსიკა

1 რომელი <u>არ არის</u> ტანსაცმელი?

ა) მაისური. ბ) ჩანთა. გ) შარვალი.

2 რომელი <u>არ არის</u> ფერი?

ა) ლამაზი. ბ) ლურჯი. გ) მწვანე.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) თვალები. ბ) თმა. გ) საყურე.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. თეას ძალიან მოსწონს _____.

   ა) გოგო. ბ) გოგომ. გ) გოგოს.

2. _____ ლურჯი ჩანთა აიღო.

   ა) თეა. ბ) თეამ. გ) თეას.

2 დაწერე მხოლობით რიცხვში.

მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი
კედლები	კედი
თვალები	
საყურეები	
მაისურები	

გრამატიკა

3 დაწერე სწორი ფორმა.

მე ვფიქრობ.

შენ ფიქრობ.

ის _____ .

წერა

დახატე გოგო ან ბიჭი. ჩააცვი ტანსაცმელი, რომელიც მოგწონს. დაწერე, რა ტანსაცმელია და რატომ მოგწონს.